სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

საგამოძიებო სისტემის რეფორმა

ბროშურის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი ორგანიზაცია - სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ბროშურა, შესაძლოა, არ ასახავდეს ამერიკის მთავრობის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

საგამოძიებო სისტემის რეფორმა

გამოძიების დამოუკიდებლობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უმთავრესი გამოწვევაა საქართველოში. მოქმედი კანონმდებლობა არ ქმნის საკმარის გარანტიებს იმისთვის, რომ გამოძიება ობიექტურად, კვალიფიციურად და მიუკერძოებლად წარიმართოს. რამდენიმე წლის წინ სახელმწიფომ, არსებული გამოწვევების საპასუხოდ, რეფორმაზე მუშაობა დაიწყო. საპარლამენტო არჩევნების პერიოდში რეფორმის საკითხი კიდევ უფრო გააქტიურდა. დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ რეფორმაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღო მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა.
ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ შეძლოს რეფორმის განხორციელება. შექმნას ღია და ინკლუზიური სამუშაო პროცესი, რათა რეფორმა არ იყოს ფორმალური ხასიათის, განხორციელდეს ჯეროვნად, ყველა პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინებით.

არსებული გამოწვევები

გამოძიების დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა როგორც ინსტიტუციურ, ასევე ფუნქციურ დონეზე.

ინსტიტუციურ დონეზე არსებული გამოწვევები

- ორი განსხვავებული ფუნქცია ერთი უწყების ხელში – არსებული კანონმდებლობით, პროკურატურას ერთდროულად აქვს როგორც დევნის, ასევე გამოძიების ფუნქცია. სწორედ პროკურატურაა უფლებამოსილი, გამოძიება დაიწყოს ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებზე, მათ შორის პოლიტიკური თანამდებობის პირთა ან მათი მონაწილეობით ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე. ერთი უწყების ფარგლებში ერთდროულად გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის მოქცევა, საფუძველს აცლის გამოძიების დამოუკიდებლობას.

- უფლებამოსილებების აღრევა – ბევრ საგამოძიებო ორგანოში ერთმანეთისგან მკაფიოდ არ არის გამიჯნული ოპერატიული და საგამოძიებო დანაყოფები. საგამოძიებო და ოპერატიული ფუნქციების ერთ სამსახურში მოქცევა კი, იწვევს ფუნქციების აღრევას, გამომძიებლების გადატვირთულობას, ამცირებს პროცესის გამჭვირვალობის სტანდარტს და გამოძიების ხარისხს.
- გამომძიებელთა კვალიფიკაცია – ყველა უწყების გამომძიებლისთვის არ არის სავალდებულო ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება. არასათანადო განათლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გამოძიების ხარისხზე და კიდევ უფრო მეტად მიჯაჭვულს ხდის გამომძიებელს/გამოძიებას პროკურორზე.

ფუნქციურ დონეზე არსებული გამოწვევები

- გამომძიებლის სტატუსი – გამომძიებელს, ევალება, გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, თუმცა, ამავე დროს ის არის ბრალდების მხარე პროკურორთან ერთად. ამრიგად, გამომძიებელს, საკუთარი საპროცესო სტატუსი და მდგომარეობა არ აძლევს დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობას.

- პროკურორის ფართო უფლებამოსილება – გამოძიების პროცესში პროკურორის უფლებამოსილება ჭარბია:
  - პროკურორის მითითება გამომძიებლისთვის სავალდებულოა შესასრულებლად;
  - გამომძიებელს არ აქვს შესაძლებლობა პროკურორისგან დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული (მათ შორის მარტივი) საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად;
  - პროკურორს შეუძლია გამომძიებელი ჩამოაშოროს საქმეს, საქმე გამოსაძიებლად გადასცეს სხვა გამომძიებელს;
  - პროკურორია უფლებამოსილი განიხილოს საჩივარი გამომძიებლის ქმედებაზე;
  - პროკურორს შეუძლია აწარმოოს გამოძიება სრული მოცულობით.

როცა გამოგძიებელი არ არის ნეიტრალური პირი, არის ბრალდების მხარე, ვერ მოქმედებს პროკურორისგან დამოუკიდებლად და ვალდებულია, დაემორჩილოს მის მითითებას, დაცვის მხარე რჩება ობიექტური გამოძიების გარეშე. გამოძიების პროცესის ამგვარი რეგულირება აზრს უკარგავს შეჯიბრებითი პროცესის იდეას, რადგან, ამ ვითარებაში გამოძიება მიმართულია არა საქმეზე ობიექტური ვითარების დადგენისკენ, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმატებისკენ.

რეფორმის ძირითადი მიმართულებები

იმისთვის, რომ რეფორმა არ იყოს ფორმალური და კონკრეტულ შედეგებს მიაღწიოს, აუცილებელია რამდენიმე ძირითადი საკითხის გათვალისწინება:

ინსტიტუციური თვალსაზრისით

- პროკურატურას არ უნდა ჰქონდეს გამოძიების უფლებამოსილება და უნდა იყოს მხოლოდ დევნის განმახორციელებელი ორგანო;
- საგამოძიებო ქვემდებარეობა კანონით უნდა განისაზღვროს;
- ყველა უწყებაში მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს საგამოძიებო და ოპერატიული დანაყოფები;
- იურიდიული განათლება ყველა საგამოძიებო ორგანოს გამომძიებლისთვის სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნა უნდა იყოს. რეფორმამ უნდა გაითვალისწინოს არსებული გამომძიებლების გადამზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.
- გამოძიებას უნდა ხელმძღვანელობდეს არა პროკურორი, არამედ საგამოძიებო დანაყოფის ხელმძღვანელი;
- პროკურორის მიერ გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს გამოძიების კანონიერების უზრუნველყოფა. საპროცესო ზედამხედველობა პრაქტიკაში არ უნდა ნიშნავდეს საგამოძიებო პროცესების უშუალოდ დაგეგმვასა და წარმართვას;

ფუნქციური თვალსაზრისით

- პრინციპულად მნიშვნელოვანია გამომძიებელი იყოს პროცესის ნეიტრალური სუბიექტი. გამომძიებელი არ უნდა იყოს ბრალდების მხარე პროკურორთან ერთად;
- პროკურორის მითითება არ უნდა იყოს გამომძიებლისთვის სავალდებულო, მას სარეკომენდაციო ხასიათი უნდა ჰქონდეს, პროცესის ნებისმიერ ეტაპზე;
- გამომძიებელს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ;
- გამომძიებელს უნდა შეეძლოს პროკურორისგან დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს, ადამიანის უფლებათა შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, განჩინების მისაღებად;
- პროკურორს არ უნდა ჰქონდეს გამოძიების წარმოების უფლება;
- პროკურორი უნდა იყოს მხოლოდ დევნაზე უფლებამოსილი პირი.

საგამოძიებო სისტემის რეფორმას მასშტაბური ცვლილებები სჭირდება. აუცილებელია, რეფორმა დროში გონივრულად განისაზღვროს და შესაბამის სტადიებად დაიყოს.